დანართი

საქმიანობის მახასიათებელი	დახასიათება/შესაძლო ზემოქმედება
საქმიანობის მასშტაბი	ასფალტბეტონის წლიური წარმადობის გაზრდა 120 000 ტ-დან 251 520 ტ-მდე.
კუმულაციური ზემოქმედება	მოქმედი საწარმო ტექნოგენური დატვირთვის ზონაშია. ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.
ბუნებრივი რესურსების ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება გამოყენება	გაიზრდება საწარმოს ტერიტორიაზე შემოტანილი ინერტული და სხვა საწარმოო მასალების (ბიტუმი, მინერალური ფხვნილი) მოხმარება და შესაბამისად მასალების სანაყაროების ფართობები. სანაყაროების გაზრდისათვის არ იქნება საჭირო დამატებით ტერიტორიების ათვისება/შეძენა. საწარმოო პროცესებში წყლის გამოყენება არ ხდება, შესაბამისად წყლის გამოყენების გაზრდას ადგილი არ ექნება. წარმადობის გაზრდის ფარგლებში არ იგეგმება ახალი ტერიტორიების ათვისება და ბიოლოგიურ გარემოზე რაიმე პირდაპირი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი
ნარჩენების წარმოქმნა	დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შედეგად შესაძლებელია გაიზრდოს ნარჩენების რაოდენობა.
გარემოს დაბინძურება და ხმაური	ცვლილებების განხორციელების შედეგად შესაძლებელია დამაბინძურებელი აირების გაფრქვევის ინტენსიობის გაზრდა; ასევე შესაძლოა გაიზრდოს ხმაურის დონე.
მასშტაბური ავარიის რისკი ან/და კატასტროფის რისკი	დაგეგმილი ცვლილები არ გამოიწვევს მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკის ზრდას.
საქმიანობის განხორციელების ადგილი და თავსებადობა/სიახლოვე	**დახასიათება/შესაძლო ზემოქმედება**
ჭარბტენიან ტერიტორიებთან	საქმიანობის განხორციელების ობიექტის სიახლოვეს არ მდებარეობს ჭარბტენიანი ტერიტორიები.

შავი ზღვის სანაპირო ზოლთან	საქმიანობის განხორციელების ობიექტი არ მდებარეობს შავი ზღვის სანაპირო ზოლში.
ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან	საქმიანობის განხორციელების ობიექტი არ მდებარეობს ტყით დაფარული ტერიტორიის სიახლოვეს.
დაცულ ტერიტორიასთან	საქმიანობის განხორციელების ობიექტი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის სიახლოვეს.
მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან	საქმიანობის განხორციელების ტერიტორია არ მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან სიახლოვეს. საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან სოფ. ვაზიანის პირველი მოსახლე დაშორებულია დაახლოებით 550 მ.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან	საქმიანობის განხორციელების ტერიტორის სიახლოვეს არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.
საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი	
ტრანსსასაზღვრო	ტრანსსასაზღვრო ხასიათის ზემოქმედებას ადგილი არ აქვს
ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა	შესაძლებელია კომპლექსური ნეგატიური ზემოქედების ხარისხის გაზრდა